№ 81, აპრილის 18, ხუთშაბათი. 1866—1885 აპრილის 18, ხუთშაბათი. № 81.

„დროების“ რედიქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრულიად უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. ორცხვა სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ამ ნომერში რვა გვერდია

რუსთაველის ექვსასი წლის იუბილეის გამო

სარწმუნოებით, ენით, დიალექტებით, პოლიტიკური მოწყობილობით დაყოფილს საზოგადოებას საჭიროა ისეთი რამ საგანი ამოვუჩინოთ, რის წინაშე არც ერთი წევრი ამ საზოგადოებისა პირს არ მოიბრუნებდეს, მაშასადამე საჭიროა, ისეთი შემაერთებელი ძარღვი მონახო, რომელიც ყოველ კაცად-კაცს, ყოველ ნაწილს ერთის საზოგადოებისას, აგრძნობინებს, რომ იგი შეადგენს მხოლოდ ერთ ნაწილს დიდი ოჯახისას. საჭიროა-მეთქი ასეთი საგანი ყოველ რაიმე შემთხვევით დაყოფილ ერისათვის, როგორს ყოფაშიაც და ცხოვრებაშიაც იყოს იგი.

თუ კი ესეთი საჭიროება დიდი ხანია იგრძნეს ევროპის სხვა-და-სხვა ხალხებმა და კიდევაც შეუდგნენ მისს განხორციელებას; თუ კი ესეთი სურვილი გამოიჩინეს, არა თუ დაბნეულმა ხალხმა, როგორიც არის მაგალითად სხვა-და-სხვა შტოები ბერძნების ერისა ანუ გერმანიისა, არამედ პოლიტიკურად და გონებითად დაწყობილმა ხალხებმაც; თუ კი ვიმეორებ მოჰკიდეს ამას ევროპაში ხელი, სადაც ეროვნული საქმე და ერის განვითარება ჩვენთვის ჯერ მიუწდომელ სიმაღლეზედ სდგას, ჩვენ, რასაკვირველია, უფრო გვჭირია, უფრო უნდა ვეცადოთ ამ გვარი საგნების გამონახვას.

როგორც წინადაცა ვსთქვით, ეს საგნები ყველასათვის ისეთი საინტერესონი უნდა იყვნენ, რომ მეგრელი და იმერელი, მაჰმადიანი და ქრისტიანი, ოღონდ კი ქართველი იყოს, თავისადა სთვლიდეს. ორი გარემოება კი უნდა მივიღოთ მხედველობაში: ერთი ის, რომ შეუძლებელია ისეთი რამ საგანი მოინახოს, რომელიც განათლებულისთვის და გაუნათლებელისთვის ერთი და იგივე იყოს. ამიტომაც ამ შემთხვევაში მთელ ხალხად უნდა მივიღოთ მხოლოდ განათლებულნი ე. ი, ისეთნი პირნი, რომელთაც ლუკმა-პურს გარდა შეეძლოთ სხვა რაიმეზედაც ზრუნვა. ეს უკანასკნელი ნურავის ნუ დააფიქრებს, რადგანაც სულ დაბალ-ხალხში ჯერ ინგლისშიაც ვერ არის ნაციონალური პრინციპები შეთვისებული. მეორე,—არ უნდა შეეხოთ ისეთს საგანს, რომელიც თითქმის დიამეტრალურად ჰყოფს ორ ნაწილს ერისას; საჭირო არის, რომ არ შეეხოთ, მაგალითად სარწმუნოებას, ან რომელიმე კერძო წოდების ინტერესებს.

რუსთაველის ექვსასი წლის იუბილეი სწორედ ერთი ამ გვარ საგანთაგანია და მის თხზულების წინაშე ეხლა თავს იხრის, როგორც არაგვის ხეობის მცხოვრები, ისე ცხენის-წყლისა; ადვილად შესაძლებელია, რომ ჭოროხიდამაც გამოგვეგზავნონ სალამი; ვიმეორებ, თუ ჩვენ შეეიძლებთ და ამ საერთო საქმეს რიგიანად წინ წარვუძღვებით.

ერთმა გარემოებამ იქნება ჩააგდოს მკითხველი ფიქრში. ეს ის, რომ ჩვენ არ ვიცით რა დროს, რომელ წელიწადს დაიწერა „ვეფხის-ტყაოსანი“, ან როდის დაიბადა, ან მიიცვალა რუსთაველი. ეს ყოველივე მართალია, მაგრამ დიდად შესაძლებელია—ამ ცოტა ხანში გამოიკვლიონ ეს რისთვისაც საჭიროა, ისტორიის მცოდნე პირებმა თავიანთი აზრი წარმოსთქვან; და თუ მაინცა და მაინც არ გვეცოდინება ნამდვილად წელიწადი და დღე დაწერისა, დაბადებისა ან მიცვალებისა, მაშინ ჩვენ თვითონ შეგვიძლიან დავაწესოთ რომელიმე ამორჩეული დღე სადღესასწაულოდ, რასაკვირველია, ასე თუ ისე ისტორიის გარდმოცემის მიხედვით. რამდენი პოეტები და გამოჩენილი მეცნიერები არიან ევროპაში, რომელთ ცხოვრების შესახებ ქრონოლოგიური ცნობები არავინ არ იცის, მაგრამ იმათი დღესასწაული კი დაწესებულია. ამ გვარ შემთხვევაში საკმაოა ისიც, რომ შოთა სცხოვრებდა მეთორმეტე საუკუნის მიწურულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაური ქრონიკა

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲬᲔᲠᲔᲜ, რომ ზოგიერთ ჩვენი რკინის-გზის სტანციებზედ წყურვილით რომ იღრჩობოდეთ, წყალს ვერ იშოვნითო. რას უნდა მივაწეროთ ეს?—მგონია ზოგიერთი სტანციის უფროსების სიზარმაცეს. მაგალითად ერთს მგზავრს წარსულ კვირაში ბევრი ეძებნა წყალი ქასპის სტანციაზედ და ვერ ეპოვნა. შენი მტერი რომ ძსნის სტანციაზედაც არ ყოფილიყო წყალი, სწორედ მცხეთამდის ვერ მიაღწევდა ცოცხალი მეტის-მეტი წყურვილისაგან.

ᲑᲣᲨᲘᲜ-ᲬᲘᲜᲓᲔᲚᲡ შენიშვნაში მცირე შეცდომა მოგვეიდა: ზორის მაზრის თავად-აზნაურობამ თავის წინამძღოლს დაუნიშნა 2500 მან. წელიწადში და არა 2000-ი.

ᲕᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘᲡ

ახალ-გაზდობაზედ.

თელავის სამკითხველოს გამო

წერილი რედაქციისადმი

ჩვენს დრო გამოშვებითს მწერლობაში, ამ ბოლოს დროს, არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა გაცხარებული ბაასი საზოგადოდ ახალ-გაზდობის მიმართულებაზე. მკითხველი, თუ კი იგი თვალ-ყურს ადევნებდა ამ მართლაცა და საყურადღებო საგანს, ძნელად შეადგენდა რაიმე დაბოლოებითს დასკვნას მასზე. მოკამათენიც არა ცდილობდენ ეჩვენებინათ მკითხველი საზოგადოებისათვის—როგორია და რა გვარია ახალ-გაზდობის მიმართულება, რომელი დედა-აზრები შეადგენენ მის რწმენას, სახელმძღვანელოს. მათ, ლიტერატურულ მოკამათეთა, აზრად ჰქონდათ ეჩვენებინათ ნაკლულევანება ჩვენის ახალ-გაზდობისა, ეგრედ წოდებულის ახალთაობისა და აღენიშნათ უიმისოდაც ყველასათვის ცხადი სამწუხარო ფაქტი—სისუსტე და მოუმზადებლობა ახალ-გაზდობისა საქვეყნო საქმისათვის. ძიდეც ამიტომ სრულებით ცუდ-უბრალოდ ბევრს კალამს მოსტყდა წვერი, ბევრი მელანი დაიღვარა ისეთის მოვლენის დასამტკიცებლად, გასამარტებლად, რომელიც არა ვითარიმე დამტკიცებას არ ითხოვდა, — ისე თვალ-საჩინო და აშკარაა ეს მოვლენა. თამამად, რაინდულად კალმების ჩახა-ჩუხი, ცხარე ბრძოლა უბრალო საგნის თაობაზე, რომელიც ყველასთვის მარტივი ჭეშმარიტებაა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, უმანკო და უშედეგო ვარჯიშობას შეადგენს. და სწორედ ამნაირი ვარჯიშობა გახლდათ ხანგრძლივი გალაშქრება ახალ-გაზდობაზე. თუ მოწინავე რაზმი, რუსულ სიტყვისა არ იყოს, „цвѣтъ лучшей молодежи“, თავ-პირს იმტვრევს უბრალო, საანბანო საგნის დასამტკიცებლად, განა თითონ ეს არ არის უტყუვარი საბუთი იმისი, რისაც დამტკიცება ჰსურთ?!

მაგრამ ერთი შესაწყნარებელი გარემოება, ცოტად თუ ბევრად, უმსუბუქებს დანაშაულობას ჩვენის მწერლობის რაინდებს. ძნელად შესაძლო და მოსახერხებელია საზოგადო სჯა რომელიმე დასის მიმართულებაზე, მის დედა აზრებზე იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მიმართულებას და დედა-აზრებს ჯერ მტკიცედ გზა არ გაუკვლევიათ ცხოვრებაში, მოღვაწეთა საერო საკუთრებად არ გადაქცეულან. თუმცა ჩვენში ყველას, დიდს და პატარას, მეცნიერს და უმეცარს პირზე აკერია მიმართულება, დედა-აზრი, ჭრისტიანი და სხვ. ამისთანა მაღალი ფილოსოფიური სიტყვები, მაგრამ, იქნება, ათში ერთს-ორს ძლივს ესმოდეს ამ სიტყვების მნიშვნელობა (მათში გამოხატულის აზრის განხორციელებას ვინღა სჩივის). თუ მთლად ახალ-გაზდობა არა, მისი უმრავლესობა მაინც შორს მანძილს სდგას რაიმე მიმართულებაზე, მას საკუთარი არა მოეპოვება-რა, არც მიმართულება და არც სხვა რამე,—ეს უმრავლესობა სხვების ფეხის ხმას მისდევს, მოკლებულია ძალუმს ხმას და ჩხავანა მომღერალისავით სხვებს მარტო უგვანო ბანს დასძახის. აი, სად არის ერთი მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ ჩვენში ასე ნდობა დაეკარგა მაღალ ფრაზებს, მაღალ აზრებს. და როდესაც შენის ყურით გესმის ამ მაღალი ფრაზების ლაწა-ლუწი, უნებლიედ გაგონდება „ვაი ჭკუის“ ერთი გმირი, რომლის სიცოცხლის დანიშნულობას მარტო მაღალი ფრაზების რახა-რუხი შეადგენდა.

უმრავლესობას რომ თავი დავანებოთ და მოღვაწეთა მცირედს რიცხვს მივმართოთ, მათს მოქმედებაში შევნიშნავთ თუ მტკიცეს მიმართულებას და პროგრამას არა, რაიმე საზოგადო აზრს და მის განხორციელებას მაინც. მართალია ხშირად ეს საზოგადო აზრი არა აქვთ ხეირიანად და საფუძლიანად გამოკვლეული და შეგნებული, ხშირად აქაც სიტყვა, ფრაზა სჩაგრავს აზრს, მის ძალას და სიცოცხლეს, მაგრამ მაინც მოქმედებას, საზოგადო მოღვაწეობას საკუთარი ფერი, ერთ-გვარი მოძრაობა ეშინევა. რა არის თვით ეს საზოგადოებრივი მოქმედება, მოღვაწეობა?—პირდე ამ კითხვაზე პასუხს წარმოვსთქვამდეთ, ერთი გარემოება უნდა ავღვნიშნოთ, სახელდობრ ის, რომ ჩვენი ახალ-გაზდობა საზოგადოდ რუსეთის გონებითი მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფება; რუსეთის მწერლობა, მოწინავე დასი ამ მწერლობისა არის ხელმძღვანელი და მასწავლებელი ჩვენის ახალ-თაობისა. რომ დააკვირდეთ ჩვენს ახალს ცხოვრებას და გონებითს მოძრაობას (ახალს შემდეგ წარსულის მეფობის დიდის რეფორმებისა) აშკარად შენიშნავთ ამ გავლენას, ზედმოქმედებას. ხსენებულს მოვლენას თავისი მეტად თვალ-საჩინო და შესაწყნარებელი მიზეზი აქვს, რომლის

⁂ მთავრობას გადაუდვია 150,000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს კავკასიის მადნეულ წყლების მდგომარეობის გაუმჯობესობას.

⁂ სოხუმში მისულა ბუნების მეცნიერების კანდიდატი ოსტროუმოვი, რომელიც ყაზანის ბუნების მეცნიერების საზოგადოებისაგან გამოგზავნილია აფხაზეთში მეცნიერულ გამოკვლევათათვის.

⁂ მოსკოველ ვაჭარს მოროზოვს გამოუგზავნია კავკასიაში 600 ფუთი ამერიკული ბამბის თესლისა. 100 ფუთი ამ ბამბის თესლისა გადაეცა სამეურნეო საზოგადოების თავ-მჯდომარეს, ი. ს. ხათისოვს თბილისის გუბერნიაში დასარიგებლად; 50 ფუთი—პოლკოვნიკს ვედენსკის სოხუმის ოლქში დასარიგებლად და 50 ფუთიც—ი. ს. ანანოვის ვექილს, ბ. იონესიანცს, ქუთაისის გუბერნიაში დასარიგებლად.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ბ-ნი ვასილ ლომინაძისაგან შემდეგი საყურადღებო შენიშვნა პროვინციის მეთვალყურეთათვის:

„ბ-ნო რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის 69 №-ში იყო დაბეჭდილი ახალ-სენაკიდგან შენიშნვა, რომელიც შეიცავდა უკმაყოფილებას ერთის იქაურის მთხოვნელთაგანისას, სენაკის ახალ ხაზინადარზედ და იმის თანაშემწეზედ.

„იმაზედ თუ ვინ დასწერა ის შენიშვნა ჰქონიათ მსჯელობა ბ-ნს სენაკის მაზრის უფროსის ბ. ბებურიშვილის სახლში და ამ უკანასკნელს გამოეუყვანივარ მე იმ შენიშვნის ავტორად. ამიტომ თავის წერილში, რომელიც იყო დაბეჭდილი „დროების“ 75 №-ში უნებებია სხვათა შორის დაწერა, რომ „შენიშვნა, რომელიც „იყო აღნიშნულ ნომერში, უნდა „იყოს დაწერილი იმისთანა პირისაგან, „რომელსაც აქვს სახეში თავისი და „არა საზოგადო სარგებლობა და „ჰკიცხავს იმისთანა კაცს, რომელსაც „სრულებით არ დაუმსახურებია ამის„თანა შეუსაბამო ლანძღვა-გინებაო.“

„აღსადგენელად სიმართლისა უმორჩილესად გთხოვთ ბ-ნო რედაქტორო, თქვენის გაზეთის საშუალებით საყოველთაოდ გამოაცხადოთ, რომ იმ შენიშვნის ავტორი სრულებით მე არ ვყოფილვარ და ამასთან კიდევ ვითხოვ, რომ ორიოდე სიტყვა მომახსენებიოთ ბ-ნი ბებურიშვილისათვის:

„თუ ვინ არის, რომელსაც სახეში აქვს თავისი და არა საზოგადო სარგებლობა და ვისაც უყვარს სხვისი კიცხვა, ეს მსჯელობა მივანდოთ ჩვენ, ბ-ნო ბებურიშვილო, თვით საზოგადოებას და ამასთან უმორჩილესად გთხოვთ ხელი აიღოთ ჩემზედ და იმყოფინოთ ის, რაც ჩაიდინეთ 1882 უსაფუძვლოდ ჩემზის „დაბეზღებით“, რაისათვისაც გაზეთების თითით საჩვენებელი შეიქენით.“

„დროების“ კორესპონდენცია

ზემო-იმერეთი, აპრილის 10-ს. წარსულ წელში ბეჟათუბნის საზოგადოების მამასახლისმა მიიღო მოწერილობა მაზრის უფროსისაგან, რომ მას თავის საზოგადოების სოფლები სუფთად შეენახა, მაგრამ ეს მოწერილობა დღეევანდლამდის აღსრულებაში არ მოსულა. ბეჟათუბნის საზოგადოებაში სოფლები მაღლობ ადგილზედ მდებარეობენ და ყველგან ჯანმრთელი ჰავაც არის, მაგრამ სამწუხაროდ თითქმის ყოველი სახლის წინ ნახავთ პირუტყვთა პატივის გროვას, რომელსაც სიცხისგან ძალიან მყრალი და ჰაერის მომწამვლელი სუნი ასდის. აქედგან სჩნდებიან სხვა-და-სხვა ავადმყოფობანი, რომელთაც უსწავლელი ხალხი ხატს, „აყოლილს“ და ან კიდევ „თვალის ნაცემს“ აბრალებს. საჭიროა, რომ მამასახლისმა მთავრობის ბრძანებით აქაური სოფლები გასწმინდოს და მით ხალხს ააშოროს სხვა-და-სხვა ნაირი ავადმყოფობანი.

⁂

სოფლის ნებოძირის მღვდელი არის ნამდვილი მოძღვარი თვისის მრევლისა. ეს მღვდელი უქადაგებს მრევლს სკოლის საჭიროებაზედ, მაგრამ მრევლი ძალიან ღარიბია და ამისთვის ვერ ბედავენ სკოლის გახსნას.

⁂

გასულ დიდ-მარხვაში ვიღაც ათონელი ბერი — არევაძე დადიოდა ზემო-იმერეთში და ითხოვდა შემწეობას ათონის მონასტრისათვის. ხალხმა შემწეობა აღმოუჩინა შეძლების გვარად. იგივე ბერი ხალხში ჰქადაგებდა ამ ქვეყნის დატოვებას და ათონის მონასტერში წასვლას, ხუთი კაცი კიდეც წაიყვანა თან.

⁂

ბეჟათუბანში წელს ძალიან კარგი ზამთარი იყო. იქნება უთოვლობამ აენოს აქაურ მოსავალსა.

⁂

ბეჟათუბანში ქურდობის მოსპობა ჯერ ჯერობით სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს იმის შედეგია, რომ ამას წინეთ პრისტავმა ავალიშვილმა აქაურები ცალ-ცალკე მოკალა. მასუკან შეშინდნენ ლაბის-ჭამნენ-დები და ველარ ბედავენ თავის საძაგელ საქციელსა. ყრილობაც მოახდინა ამას წინედ ბეჟათუბნის საზოგადოებამ და ამ ყრილობამ შვიდი კაცი აღმოაჩინა ქურდებად, რომლებსაც ღუბერნატორმა სხვა სოფელში გადასახლება გარდუწყვიტა. მადლობა ღმერთს, რომ პატარა მოვისვენეთ ქურდებისაგან.

⁂

ბეჟათუბნის ახლოს სოფელს მოლითში და და ძმა არიან ჭკუა-შეშლილნი, რომელნიც ტიტვლები დაიარებიან დღე-და-ღამ ტყეში და შინ პატრონს არ ეკარებიან. საწყალი მათი ბიძა დიდ მწუხარებაშია თავის გადარეული ძმისწულებისაგან; მას ჰსურს თბილისის საგიჟეში მათი გაგზავნა, მაგრამ სიღარიბე ნებას არ აძლევს. საკვირველია, რომ პირუტყვებს ჰყავს „დამცველი საზოგადოება“ და მეტყველებს კი არა.

⁂

სოფელს მარელისში (შორაპნის მაზრა) არის ერთი მ. გვარად ი—ძე, რომელიც ხალხს თვისის გონების სიბნელისაგამო ღვთისგან მოვლენილ ავადმყოფების მკურნალად მიაჩნია. როდესაც კი ვინმე გაუხდება ავად, განსაკუთრებით გლეხებს, მაშინვე მ. ი—ძეს იწვევენ, რომელიც თავისებურად ლოცვას დაუწყებს ავადმყოფსა. ბლეხებს ფულებს ახდევინებს ეს ი—ძე და მორჩენით კი თვისის ექიმობით არვინ მოურჩენია. ღმერთო, რამდენი გამტყავებელი და მჭამელი ჰყავს

(მიზეზის) განმარტება აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია,—თითონ მკითხველმაც უწყის ეს მიზეზი. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტების გოდება და იერემიას ცრემლები: „ჩვენი ახალ-გაზდობა მოკლებულია მშობლიური სტიქიონების გავლენას, ფეხ-ქვეშ არა აქვს მშობლიური ნიადაგი და სხვ.“—მხოლოდ გოდებად და ცრემლებად დარჩება, რადგანაც აწინდელს დროს ვერც ერთი საკუთარი შინაგანი (თუ გნებავთ, მშობლიური) ძალა ვერ შეედრება, წინააღმდეგობას ვერ გაუწევს რუსეთის გონებითს მოძრაობას, მისს გავლენას ჩვენს ახალ-გაზდობაზე. ეს უკანასკნელი ემორჩილება კიდეც ამ ძალუმს გავლენას. აი, სხვათა შორის, სად არის ერთი უმთავრესი მიზეზი იმ მოვლენისა, რომ ჩვენი ეგრედ-წოდებული **მამულის-შვილობითი მიმართულება**, რომელსაც, ჩვენის აზრით, საკმაოდ ეტყობა სიმარჯვე და ცალ-მხროვანი გატაცება, ასე ულონოა და სუსტი (რასაკვირველია შედარებით). როგორც სხვა ზღუდეში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთს თუ ისეთს მიზეზს ასეთი თუ ისეთი შედეგი მოსდევს. ეს საზოგადო კანონი ჩვენს ცხოვრებაშიაც მკაცრად მოქმედებს...

ჩვენ ვსთქვით, რომ ჩვენი ახალგაზდობა რუსეთის გონებითის მოძრაობის გავლენის ქვეშ იყო, არის და ეხლაც ემორჩილება მას. აი, სწორედ აქ უნდა მოიძებნოს მიზეზი იმ სასოგადო მოღვაწეობის საგუთარის ფერისა, რომელზედაც ზემოდ წარმოვსთქვით რამდენიმე სიტყვა. 60 წლებიდამ თითქმის აქამომდე რუსეთის მწერლობაში უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო ეკონომიურს საგნებზედ. დასავლეთის ევროპის უკიდურესმა ეკონომიურმა ცხოვრებამ (ბრძოლა თანხისა და შრომის შორის) წინ წამოაყენა ეკონომიური მეცნიერება და ამ გარემოებამ გავლენა იქონია რუსეთის გონებითს მოძრაობაზედაც (მე აქ ფაქტს მოკლედ ვასახელებ და მიზეზებს ვსტოვებ). იქ, დასავლეთს ევროპაში, ამას თავისი საბუთი ჰქონდა და სხვა-და-სხვა ეკონომიური სწავლის გაღმერთებას ცოტად თუ ბევრად შესანდობელი მიზეზი მოეპოვებოდა. ჩვენის აზრით, სულ სხვა უნდა ითქვას რუსეთზედ. აქ უპირატესობა ეკონომიურის სწავლის და საგნებისა, სულ ცოტა, მიბაძვას წარმოადგენდა; უცხოეთის ზედ-მოქმედების შედეგი იყო და ამისათვის მოკლებული ნამდვილს ნიადაგს. პოლიტიკური ეკონომია „მოდნურ“ საგნად შეიქნა; მის გარეშე სტუდენტი ცხონებას ვერ ჰპოვებდა. მოსწავლე ქართველი ახალ-გაზდა, ვსთქვათ, მათემატიკოსი, რომელიც ზიზღით უცქეროდა საზოგადოდ იურიდიულს მეცნიერებას, თავის სამღვთო ვალად სთვლიდა ცოტა-ოდენი სცოდნოდა რამე პოლიტიკური ეკონომიიდამ, გაეგო—რას სწერდენ და ასწავლიდენ სისმონდი, პრუდონი, ქაბე, ლუი ბლანი, ლასალი და სხ. და სხვ. და ეს იმიტომ, რომ მას გაზეთში თუ ჟურნალში, სიტყვით თუ წერით, ყველგან ყურს უჭედავდენ ღაღადებით ეკონომიური საგნების უპირატესობაზედ, მათს უმთავრესს მნიშვნელობაზედ. ჩვენ არ შეუუდგებით იმის განხილვას—თუ რამდენად უსაფუძვლოა ამ გვარი შეხედულობა. ჩვენ მხოლოდ დაეს ძენთ, რომ ამ შეხედულობას აღიარებდა თავის რწმენად, სიმეოლო სარწმუნოებად ჩვენი ახალ-გაზდობაც და რუსეთიდამ დაბრუნების შემდეგ თავის სამშობლოში ავრცელებდა მას. პროვინციებშიც საზოგადოებრივს მოღვაწეობას, საერთო საქმეს უმეტესად ეკონომიური ფერი დაედო. სადაც-კი მიიხედავდი (და ან მიიხედავ) და რომელიმე საზოგადოებრივს „საქმეს“, დაწესებულებას შეხვდებოდი, ეს უკანასკნელი უეჭველად ეკონომიური ხასიათისა იყო. „დეპო“, „საზოგადო დუქანი“, „სასოფლო ბანკი“ და სხვა ამისთანაები—აი, რა გეჩხირებოდა თვალებში და ეხლაც გეჩხირება, როცა მიდიხარ იმისთანა ადგილს, სადაც თავი მოუყრია პატარა ჯგუფს ახალ-გაზდობისას და იღწვის საზოგადო საქმისათვის. როდესაც გარეშე მაყურებელი პირუთვნელი კაცი აკვირდება ამ მოვლენას, უნებლიედ ღიმილი მოსდის, სიხარულთან სიმწარეც ებადება გულში. ვითომ და საქართველოს ბედნიერება, მისი საუკეთესო მომავალი უმეტესად ეკონომიურის პრობლემის განხორციელებაზე არის დამოკიდებული! მართლაც და-რა შეცდომაა, რა უკიდურესობაა! საუკეთესო ახალგაზდობა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი იმედი და სასოება, მოგროვილა რომელიმე დუქანში, დეპოში, ბანკში და აქ, ამ ბურჟუაზულს სადგურში, ლამობს სამშობლოს აღორძინებას, მის აყვავებას, თითქო ამ სამშობლოს ყოველ გვარი ბედნიერება მინიჭებული ჰქონდეს და მხოლოდ ერთი-ღა აკლდეს—ეკონომიური სიმართლის დაუმყარებლობა!.. ამ გვარი მოღვაწეობა უნიადაგო მიბაძვაა, ყალბი უკიდურესობა, რომელსაც

საწყალ გონება-გაუნათლებელ გლეხსა!

**

ბეჟათუბნიდგან თორმეტი ვერსის სიშორეზედ „ლომის მთაზედ“ არის ძველი ეკლესია, რომელზედაც, ამბობენ, წარწერილობანი არისო; კარგი იქნება, რომ ვინმემ გადმოსწეროს ის ზედ-წარწერანი, იქნება ჩვენი ისტორიისათვის საყურადღებონი იყვნენ.

დაკა შუა აზიაში

◆◆ ვისაც-კი თვალი უდევნებია ნემეცური გაზეთების კილოსათვის, მასუკან რაც რუს-ინგლისის შუა დავამ იჩინა თავი საშუალო აზიაში, ყველა დაინახავდა, თუ რა პოლიტიკას მიჰყვებოდენ ნემეცები. ყოველს დღეს და ყოველს გაზეთში წაიკითხავდით რუსეთისათვის სასარგებლო ცნობებს: რუსეთთან რას გახდება ინგლისიო; ზღვის ძალა რუსეთისა არც ისე მცირეა, როგორც ეგონათ და ხმელეთზედ ხომ სულ ვერ გაბედავს გავიდეს ინგლისიო; რას ჰქვიან რუსეთისაგან ბოდიშიო, წავიდეს წინ დაიჭიროს არა მარტო პენჯდე და ზულფიქარი, არამედ ჰერათი, ძაბული და ქალკუტაც; ყველა ამაზე სრული უფლება აქვს რუსეთსაო; ჩვენ (ასე იწერებიან ბერლინისა და ვენის ოფიციოზური გაზეთებიც) რუსეთმა გვიგულოს მომხრედ; ჩვენ შეგვიძლებთ ლაგამი ამოვსდვათ ოსმალეთს და ინგლისის ხომალდებისათვის არ გავაღებინოთ ბოსფორისა და დარდანელის სრუტენი და სხვა-და-სხვ... სულ ამ კილოზედ იწერებოდენ გერმანიის გაზეთები... მაგრამ რუსის გაზეთები კი იმ თავითვე ეჭვის თვალით უყურებდენ ამ რუსეთისადმი მეგობრულს კილოს ბერმანიის გაზეთებისას. ამ გარემოებასვე შეეხება გუშინდელი „Новости“, და ძლიერ საეჭვოდ მიაჩნია, რომ გერმანიის გაზეთები ნამდვილის მეგობრულის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი რუსეთისადმი და შემდეგის სიტყვებით აბოლოვებს თვის მოწინავე წერილს: „ჩვენ ძვირად გვიღირს გერმანის მეგობრობა, მაგრამ ეს კიდე ვერ მოგვაშორებს აუცილებელის საჭიროებას; თუ, ვინიცობაა, ომი აგვიტყდა ინგლისთან, მუდამ მზად უნდა ვიყვეთ,---დავუმტკიცოთ ნემეცურ ოფიციოზებს, თუ რამდენად ცრუა მათგან გამოთქმული იმედი, რომ ჩვენ გავებანდებით საშუალო აზიის საქმეებში და დრო აღარ დაგვრჩება ვიფიქროთ ბალკანის ნახევარ-კუნძულზე, ან ჰერათის გულისთვის დავივიწყებთ სტამბოლს“.

ზემოხსენებულს რუსულს გაზეთს საღამოს მიღებულის ტელეგრამებიდამ პეტერბურგში ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ბლადსტონის ყოველს სიტყვაში ჰხედავს კაცი ორატორის აღელვებულს მდგომარეობას; იგი თითქოს რაღაცას მოელისო; წამის-წამ გაიყურება კარებისაკენ, რომლის უკან თითქოს რაღაც უძლიერესი არგუმენტი, უძლიერესი საბუთი იმალებაო... ამ საბუთად ჩვენ, ამბობს „Новости“, უფლება გვაქვს აღვიაროთ ინგლისის ხომალდებისაგან სტრატეგიულ პუნკტების დაჭერის ამბავი, იმ სტრატეგიულ პუნკტებისა, რომელზედაც მიუთითა ბლადსტონმა. აი, ამ ამბავს მოელის მოუთმენლად ინგლისის სამინისტროს მეთაური და არა ახალს განმარტებათ კიდევ გენ. ლემსდენისაგან, რომელიც (განმარტება) არც არავის სჭირიან და არც საინტერესოა ვისმესთვისო.

◆◆ ლონდონიდამ შემდეგი დეპეშა მისულა პარიჟს: „დღეს მოვიდა აქ (ლონდონს) ტელეგრამა ბიბრალტარიდამ; იქ გავრცელებულა ხმები, რომ ორი რუსის საომარი გემი ეპირება ამ ნავთ-საყუდელზე თავ-დასხმას. მცხოვრებლებმა წინადადება მისცეს გუბერნატორს—შესდგეს თავისუფალი რაზმი არტელერისტებისა ბიბრალტარის დასაცველად.—ერთი გემი მუდამ ღამე დადის ამ ჟამად ბიბრალტარის მახლობლად, რომ მოულოდნელი თავდაცემა ააცილოს ამ ნავთ-საყუდელს.

◆◆ მელბურნიდამ იწერებიან, რომ ავსტრალიის ყველა კალონიებში გაცხარებული მზადებაა ინგლისისა და რუსეთის შორის მოსალოდნელის ომის გამო.

◆◆ ბენ. უელსლეი გამოსულა სუდანიდამ. ხმებია, მთავრობამ იხმო გენერალი, რომ გაგზავნოს აღანში, სადაც მცირე აზიის ჯარების მთავარ სარდლობა ჩაბარდებაო.

◆◆ ვარნიდამ დეპეშით აცნობებენ „Daily News“-ს: „ერთს ინგლისელს, რომელიც რუსეთიდამ მოვიდა, უნახავს, რომ 120,000 რუსის ჯარი მდ. ვოლგიდამ ოდესისაკენ მიდიოდა და აქედამ ქავკასიაში უნდა გადასულიყვნენო.“

◆◆ ავღანის ემირს შემდეგის სიტყვებით მიუმართავს თვის ქვეშევრდომთათვის: „ავღანელნო! ეხლენო და მეომარნო! ინგლისს მშვიდობიანობას ემუქრებიან. მე ვეცდები, რომ მაცდურობით არავინ შეეხოს ამ შვიდობიანობას. ჩვენ ყველანი მზად ვართ ვიძროთ ხმალი და მანამ არ ჩავაგოთ, სანამ ჩვენის მამულის დაცვისათვის მტრის სისხლით არ შეღებება იგი. ბავყვეთ სამართლიანს ომს, და სამართლიანი ომი მხოლოდ მას შემდეგ იჩენს თავს, რაკი ვერავითარმა მოლაპარაკებამ მშვიდობიანობა ვერ დაიცვა. თუ გაგვიწვიეს საომრად, ერთი ჩვენთაგანი არ დარჩება, რომ მტერს არ მიეგებოს. ინგლისისა და რუსეთის შუა გამომწყვდეული, მე ვეცდები დავიცვა ჩემის ქვეყნის დამოუკიდებლობით მშვიდობიანობა ამ ორ სახელმწიფოთა შორის; არასოდეს არ მივცემ მტერს ნებას გზად გაიხადოს ჩემი სამფლობელო და ინდოეთს თავს-დაესხას; ამგვარადვე ერთს ნაკუწს ჩემის მიწისას არ დავუთმობ არც ერთსა და არც მეორეს. ინგლისის მეგობრობა სარგებლობაა ჩვენთვის, რადგან ჩვენს თავისუფლებას იცავს იგი.!!

◆◆ სტამბოლელი კორესპონდენტი „Русскій Курьеръ“-ისა, სხვათა შორის, იწერება: „ამას წინად მე, გწერდით, რომ რუს-ინგლისის შუა მოსალოდნელს შეტაკებაში ოსმალეთი ინგლისის მხარეს დაიჭერს და სრუტეთ კარები გაეღება ინგლისის ხომალდებს-მეთქი. ამ დღეებში სტამბოლის ოფიციალურმა გაზეთებმა აღიარეს ამ ამბის ჭეშმარიტება. მომყავს ორიოდე სტრიქონი ერთის ოფიციალურის გაზეთის წერილიდამ: „პარიჟის ტრაქტატის მეორე პარაგრაფის მე 15 მუხ-

---

დროა, რომ მოელოს ბოლო. ამითი ჩვენ ის არ გვინდა ესთქვათ, რომ ახალ-გაზდობამ თავი დაანებოს ეკონომიურს საქმეებს, არა,—ეს უკანასკნელნიც საჭირონი არიან; ახალ-გაზდობამ მხოლოდ უნდა შეიგნოს, სამუდამოდ დარწმუნდეს, რომ ეკონომიური ცხოვრება მარტო ერთი მხარეა, ერთი შტო ხალხის საზოგადო ცხოვრებისა და ხალხის ბედნიერება ითხოვს მთლად ცხოვრების გაუმჯობესობას და არა მარტო ეკონომიურისას. და თუ ეს ასეა, მაშ ჩვენის პროვინციალების აწინდელი უკიდურესი ეკონომიური ვარჯიშობა შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ გვეტყვიან: „დეპოს და ბანკის საშუალებით ჩვენ ვებრძვით მსხვილს თანხას, დამჩაგვრელს ეკონომიურს ძალას, რომელიც მოთავსებულია ბატ. ბ....ის და კომ. ხელში. ქარგი და პატიოსანი, მაგრამ იცით რა? თქვენი რა მოგახსენოთ, მაგრამ მე კი ეს ბრძოლა ლომის და კატის, ან კატის და თაგვის ბრძოლას მომაგონებს, სხვას არაფერს. ბანა სინამდვილე არ ამტკიცებს ამას?. ბანა ამ ნაირს ბრძოლაზე უნდა დაიხარჯოს მთელი ძალღონე ჩვენის საუკეთესო ახალგაზდობისა?

თელავის ახალ-გაზდობას შეუგნია ზემოდ აღნიშნული უკიდურესობა და სხვა-და-სხვა ეკონომიურს საქმეებთან ერთად დაუარსებია წიგნთ-საცავი ანუ სამკითხველო, ის, რაც, ჩვენის აზრით, ყველაზე წინად უნდა დაარსებულიყო. რამდენადაც გვახსოვს, „დროებაში“ თავის დროზედ დაბეჭდილი იყო ცნობა ამის შესახებ და რედაქცია სიხარულით მიეგება ამ მართლაც და სასიხარულო ამბავს. ღირდა კიდეც. ბონებითი სიფხიზლე ჩვენის ახალ-გაზდობისათვის, მეტადრე აწინდელს დროს, ყველაზე უფრო საჭიროა. ვგონებთ, საწყინარი არავისთვის იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჯერაც კიდევ ჩვენის ახალ-გაზდობის სენს, ტკივილს შეადგენს გონების მცონარება, სიზანტე. ეს ცხადია, და ამას ყველა აშკარად ხედავს. ჩვენ არას ვიტყ[illegible] ზედ—თუ როგორ ეკიდება სწავლას „მეცნიერების ტაძრებში“ ჩვენი მოსწავლე ახალ-გაზდობა. აქ მხოლოდ ერთს მოვლენას აღვნიშნავთ, რომელ ქართველსაც კი გულ-მოდგინედ ხელი მოუკიდნია სწავლისათვის, იგი შექმნილა კიდეც ღირსეული შვილი მეცნიერების ტაძრისა; საკმაო რიცხვი ქართველთ პროფესორებისა რუსეთის უნივერსიტეტებში ამტკიცებს ამ ჩვენთვის სანუგეშო მოვლენას. მეცნიერების ხსენებულ შვილების სახელს დიდის პატივისცემით იხსენიებს განათლებული ევროპა და მათ სიამაყით უმზერს მათი ტურფა სამშობლოც. ჩვენს თანამედროვე უდიდეს პოეტებს განცვიფრებაში მოჰყავთ როგორც რუსეთი, ისე დასავლეთის ევროპა. მათ ნიჭით და ქნარით უკვე დაისაკუთრეს პარნასის საუკეთესო ადგილი. ქართველს არაოდეს არ ჰკლებია და არც ეხლა აკლია ნიჭი, გონების ძალა. მაგრამ ნიჭს, გონების ძალას უნდა შემუშავება, განვითარება და ამის იარაღი ხომ სწავლაა, კითხვა... საკმაო როდია ახალ-გაზდა დასჯერდეს მას, რაც, თავის დროზე, უსწავლია საშუალო ან უმაღლეს სასწავლებელში. საჭიროა მუდმივ სწავლა, გონების სიფხიზლე, მუშაობა; სწავლას საზღვარი არა აქვს, ტყუილად კი არ ამბობდენ ძველს დროში—vita brevis ars longa est!. სამწუხაროდ, ჩვენი ახალ-გაზდობა ამ გზას არ ადგია. იგი იმას სჯერდება, რაც ოდესმე უსწავლია, იგი მისცემია გონების სიზარმაცეს და თუ ახალს საზრდოს იღებს—ეს უკანასკნელი ხომ მარტო ჟურნალ-გაზეთებიდგან შესდგება. მაგრამ მარტო ჟურნალ-გაზეთების კითხვა არავის ეყოფა. ეს გონების სერიოზული ვარჯიშობა როდია, ეს უფრო გონების ჩილიკობაა, თუ შეიძლება ასე ითქვას,..

„დროების“ რედაქციასთან ერთად ჩვენც ვისურვებდ, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში მიჰბაძონ თელავის ახალ-გაზდობის მაგალითს,—დააარსონ სამკითხველოები. ნამდვილი სწავლა, განვითარება დაჰბადავს ჩვენს გონებითს მოძრაობაში და პრაქტიკულ მოქმედებაში ჰარმონიას, ძალას, თავიდამ მოგვაშორებს ყოველგვარ უკიდურესობას, აწინდელს ჩხავილს, უზომო და უსამზღვრო მედიდურობას, რომლითაც გულს გვიკლენ ზოგიერთი ვაჟ-ბატონები. ამ უკანასკნელებს გუდით გადმოაქვთ რუსეთიდამ ბულვარზე აკრეფილი ფრაზები და ვითომ კიდეც იღვწიან, მუშაობენ სამშობლოსათვის... რა ფასისა და ღირსებისა უნდა იყვეს ეს ღვაწლი, მუშაობა, ყველასათვის ცხადია. დროა ამას წამალი დაედოს...

თელავის სტუმარი.

აპრილის 4.

ლი ამბობს: მდ. დუნაიზე გემების ტარება არ აღიკრძალება“... მაგრამ რუსეთი 1876-1877 წ. ეწინააღმდეგებოდა მთელის წლის განმავლობაში ამ მდინარეზე გემების გაყვანას იმ სახელმწიფოებსა, რომელთაც ხელ-მოწერილი აქვთ ხსენებული ტრაქტატი. მაშ, თუ ომი ასტყდა არც ინგლისის ხომალდებს აღეკრძალებათ დარდანელში გასვლა; ეს არ შეუშლის ხელს ევროპიულს ვაჭრობას და უფროც წარმატებას მისცემს.

◆◆ „Standard“-ის სიტყვით ოსმალეთისა და ინგლისის შორის მოლაპარაკება დაკავშირებაზე წარმატებით მიდისო. პორტა თავისუფალია მიეკედლოს ინგლისს და სხვა სახელმწიფოს აზრს ყური არ ათხოვოს; მას ჰსურს გავრცელდეს ოსმალეთის მფარველობა ეგვიპტეზე და მზადაა ინგლისთან ერთად იბრძოლოს სუდანში.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აპრილის 17-ს

ლონდონი. გუშინ გლადსტონმა გრძელს სიტყვაში ილაპარაკა იმის შესახებ, რომ სამხედრო კრედიტი 11 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადადებულ იქმნას საერთოდ, განუყოფელად იმ ადგილებს სიტყვისას, სადაც გლადსტონი ლაპარაკობდა ინგლისის ინტერესების დირსეულად დაცვაზედ, ტაშის კვრით გააწყვეტინებდენ ხოლმე. კრედიტი, გლადსტონის წინადადების თანახმად, მიღებულ იქმნა ერთხმად არამც თუ უოპოზიციოდ, არამედ კენჭის უყრელადაც.

ბერლინი. „National Zeitung“-ი ნამდვილად ამტკიცებს, რომ ხმები, ვითომ რუსეთის იმპერატორს განეცხადებინოს გერმანიის იმპერატორისათვის შიში ომის აუცილებლობისა, გამოგონილნი არიანო. გერმანია სრულიად ნეიტრალურად დარჩება ინგლისისა და რუსეთის შორის შეტაკების დროს და არც რუსეთს და არც ინგლისს გერმანიის შუამდგომლობა არ უთხოვნიათო.

ბირჟა

პეტერბურგი აპრილის 15.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე	$23^{5}/_{16}$ $23^{13}/_{32}$ $23^{11}/_{32}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე	$198^{7}/_{8}$, $198^{1}/_{4}$
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე	$246^{1}/_{4}$, $246^{1}/_{2}$
პოლუიმპერიალები	8 მ. 45 კ. გაყ.
ტამოჟნის კუპონები	8 მ. 40 კ. გაყ.
ვეცხლის მანათი	1 მ. 33 კ. გაყ.
ბირჟის დისკონტი	6 და 7%
5% ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა	$97^{1}/_{4}$ მ. გაყ.
მეორე გამოცემისა	96 მ. გაყ.
მესამე გამოცემისა	96 მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	$214^{1}/_{2}$ მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა	203 მ. გაყ.
ოქროს რენტა	$169^{1}/_{4}$ მ. გაყ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები	. . . . .
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	. . . . .

ფასები

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა	1	გრ.	5 კ.
ახალუბის ფქვილისა: პირველის ხარისხისა	1	გ.	$2^{1}/_{2}$
მეორისა	1	გ.	2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის	1	გ.	$4^{1}/_{2}$
მეორისა	1	გ.	3 კ.
მესამისა	1	გ.	$2^{1}/_{2}$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში	1	გ.	$4^{1}/_{2}$
მეორის ხარის. ლავაში	1	გ.	$3^{1}/_{2}$
მესამისა	1	გ.	3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა	1	გ.	9 კ.
მეორისა	1	გ.	8 კ.
სუკი	1	გ.	16 კ.
ცხვრის ხორცი	1	გ.	10 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა	1	გ.	
მეორისა	1	გ.	

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება

გრ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში

რუსულს ენაზედ

САБА ОРБЕЛІАНИ

И

ЕГО ГРУЗИНСКІЙ ЛЕКСИКОНЪ

Критическій очеркъ

Николая Гамрекели

Цѣна 25 коп.

ამ დღეებშივე გამოვა გასასყიდად ძველი პოემა

„ალუზიანი“

თხზ. თამარ მეფის ქმრის დავით სოსლანისა გამ. ნ. ზამრეკელისა ფასი ექვსი შაური. (3—2)

იყიდება

სახლი ვენახით და ბაღით — 20 დესეტ. სახნავ. მიწა, ბანკის ვალია ამ მამულზე 1400 მანათამდე. მამული არის გორის მაზრის სოფ. პატარა თამარშენში, სადაც მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ წერილითაც გენერალ პოტებნიას, გორის სტანციით. (5—3)

ქ. გორში

ივ. ბარამოვის მაღაზიაში იყიდება ყოველ-გვარი ქართული წიგნები. (3—2)

საგლობუსო კალმები ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაშია. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაქდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირსახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეიკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—14)

Приготовляются къ печати и выйдутъ въ свѣтъ двѣ книги:

СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ

Михаила Николаевича

ВОРОНОВА

ВЪ СТИХАХЪ И ПРОЗѢ

(СЪ ФОТО-ЛИТОГРАФИРОВАННЫМЪ ПОРТРЕТОМЪ АВТОРА)

и большой интересный историческій романъ

„РЕНЕГАТЪ“

изъ временъ Карла Мартела

Первая изъ названныхъ книгъ, то есть **Собраніе Сочиненій Воронова** будетъ отпечатана на роскошной атласистой бумагѣ и, кромѣ того, каждый экземпляръ будетъ въ колепкоровомъ, малиноваго или синяго цвѣта, переплетѣ, съ золотымъ тисненіемъ на корешкѣ и крышкахъ и съ золотымъ обрѣзомъ.

Вторая книга, то есть романъ **Ренегатъ** принадлежитъ къ числу замѣчательнѣйшихъ произведеній литературы. Появленіе его произвело громадный фуроръ и доказательствомъ того, на сколько онъ интересенъ, служитъ то, что **Ренегатъ** переведенъ на языки: Англійскій, Нѣмецкій, Испанскій и Голландскій. Вслѣдствіе этого, г. Вороновъ льститъ себя надеждою, что русское общество отнесется къ **Ренегату** съ такимъ же восторгомъ, съ какимъ отнеслись къ нему другіе образованные народы.

Романъ **Ренегатъ**, хотя будетъ отпечатанъ не такъ роскошно какъ сочиненія Воронова, однакоже на хорошей плотной бумагѣ и каждый экземпляръ его будетъ въ красивомъ шагреневомъ переплетѣ.

Хотя Г. Вороновъ не можетъ, въ данное время, обозначить съ точностью срокъ выхода своихъ сочиненій и романа **Ренегатъ**, тѣмъ не менѣе онъ проситъ лицъ, желающихъ имѣть названныя книги не медлить своими требованіями.

Цѣна обѣимъ книгамъ, по выходѣ ихъ въ свѣтъ, будетъ **СЕМЬ РУБЛЕЙ**. Приславшіе же деньги **ДО ВЫХОДА** платятъ только **ПЯТЬ РУБЛЕЙ** и, кромѣ того, имъ будутъ высланы, въ видѣ преміи, нѣсколько хорошенькихъ разсказовъ.

ПРИМѢЧАНІЕ.

Московскіе и провинціальные книжные магазины и библіотеки для чтенія, желающіе принимать подписку на выше названныя книги, пользуясь 20% за коммисію, благоволятъ заявить объ этомъ Г. Воронову для того, чтобы имъ могло бы быть выслано подробное объявленіе, наклеенное на картонъ.

Обращаться по слѣдующему адресу: **Москва, Тверская, д. Фальцъ-Фейна**, М. Н. Воронову. (3—1)

თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა აპრილის 25-ს, შუადღისას, გამგეობის შენობაშივე იქნება ვაჭრობა მიწისა და ქვის სამუშევარის იჯარით გაცემისათვის: ა) ერევნის მოედანზედ ბაღის მოაჯირისათვის საძირკვლის გაკეთება და ბ) საძირკვლის და ცოკოლის გაკეთება ვერისა და დესიმონოვის მოედნებზე (რიყეზე). ვაჭრობის მსურველთ პირობანი ყოველ დღე შეუძლიათ გაიგონ დილის 10-დამ ნაშუადღევის 2-საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (3—1)

(იხილე მე-5 გვერდი:)